



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო  
საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 580/ს  
24/10/2023

580-21-4-202310241557



### ქ. თბილისში, შპს „ნოვა ფიქსი“-ს პლასტიკური მასალისა და ნარჩენების აღდგენის საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ნოვა ფიქსი“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ქ. თბილისში, დავით გურამიშვილის გამზირ N188-ში, პლასტიკური მასალისა და ნარჩენების აღდგენის საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, შპს „ნოვა ფიქსი“ პლასტიკური მასალისა და ნარჩენების აღდგენის საწარმოს მოწყობა დაგეგმილია ქ. თბილისში, დავით გურამიშვილის N188-ში, შპს „ნოვა“-ს საკუთრებაში არსებულ, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.12.01.003.288), რომელიც კომპანია ფლობს იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე. საპროექტო ტერიტორიის GPS კოორდინატებია: X-483022, Y-4625873; X-483073, Y-4625844; X-483017, Y-4625743; X-483004, Y-4625681; X-482978, Y-4625687; X-482994, Y-4625824. საწარმოს საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 95 და 120 მეტრში მდებარეობს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები. საპროექტო ტერიტორიის მომიჯნავედ განთავსებულია შპს „ნამისა“ და შპს „ჯთჯ“-ს, 10 მეტრის მანძილზე შპს „თორნიკესა“ და შპს „ელმა 2008“-ს, 75 მეტრის მანძილზე შპს „რედისა“ და შპს „ტოპ მოტორსის“, 95 მეტრში შპს „ავანგარდის“, 160 მეტრში შპს „ალთენის“, 180 მეტრში შპს „ჯი ეს სი“-ს კუთვნილი ობიექტები. 200 და 350 მეტრის მანძილზე მდებარეობს შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ კუთვნილი ნავთობბაზები. ამასთან, საპროექტო ტერიტორია ექცევა ამერიკის საელჩოს 2000 მეტრიანი შეზღუდვის ზონაში, თუმცა სკრინინგის განცხადებას თან არ ერთვის შესაბამისი შეთანხმების/ნებართვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო საწარმოში გათვალისწინებულია პლასტიკური მასალის - პოლისტიროლის ფილების დამამზადებელი და პოლისტიროლის ნარჩენების აღდგენის თითო ხაზის მოწყობა. აღნიშნული ტექნოლოგიური ხაზები განთავსებული იქნება მიწის ნაკვეთზე არსებულ შენობა-ნაგებობაში. პლასტიკური მასალის (პოლისტიროლის ფილების) წარმოების ტექნოლოგიურ პროცესში ნედლეულის სახით გამოყენებული იქნება პოლისტიროლის გრანულები (GPPS), სადებავი, ტალკი, აგრეთვე თხევადი და აირადი ტიპის ნედლეული, კერძოდ ნახშირორჟანგი, იზობუტანი,

დიმეთილპროპანი და ეთანოლი, ამასთან ნედლეულის სახით გამოყენებული იქნება პოლისტიროლის საწარმოო პროცესში მიღებული ნარჩენები და წუნდებული პროდუქცია, რომლის აღდგენა გათვალისწინებულია ნარჩენების აღდგენის ტექნოლოგიური ხაზის მეშვეობით. ნედლეული საწარმოში შემოტანილი იქნება მზა სახით. საწარმოო ტერიტორიაზე შემოტანილი მყარი ტიპის ნედლეული (პოლისტიროლის გრანულები, საღებავები და ტალკი) დასაწყობდება შენობის შიდა სივრცეში, სპეციალურად გამოყოფილ ტერიტორიაზე, ხოლო ნახშირორჟანგი, იზობუტანი, დიმეთილპროპანი და ეთანოლი განთავსდება შენობის გარეთ, შესაბამის რეზერვუარებში.

დოკუმენტის მიხედვით პლასტიკური მასალის (პოლისტიროლის ფილების) წარმოების ტექნოლოგიური ხაზი (წარმადობა - 430 კგ/სთ) მოიცავს შემდეგ ტექნოლოგიურ ელემენტებს: პოლისტიროლის გრანულების მიმღები ავზები, აგრეთვე თხევადი და აირადი ნედლეულის რეზერვუარები, ვაკუუმ ტუმბოები, ექსტრუდერის მიმღები ბუნკერები, დოზატორები, შემგროვებელი ბუნკერი, ორშენკიანი და ერთშენკიანი ექსტრუდერები, ფილტრი, კალიბრატორი, მიქსერი, ფრეზატორი (მექანიკური დამუშავების დანადგარი ე.წ საფრეზ-საღარავი აგრეგატი), შესაფუთი დანადგარი, ლენტური და გორგოლაჭებიანი კონვეიერები, აგრეთვე წყლის გამაგრილებელი (დახურული) სისტემა. ნარჩენების აღდგენის ტექნოლოგიური ხაზში (წარმადობა 100 კგ/სთ) გათვალისწინებულია შემდეგი ტექნოლოგიური ელემენტების განთავსება: შრედერი, გრანულატორი, გამაგრილებელი წყლის ავზი, მექანიკური დამუშავების დანადგარი (დანებიანი დაქუცმაცებული).

საწარმოო შენობაში განთავსდება პოლისტიროლის გრანულების მიმღები ხუთი ერთეული ავზი (ორი ერთეული - თითოეული 1,5 ტონა და სამი ერთეული - თითოეული 100 კგ), ხოლო საწარმოს გარე სივრცეში დაგეგმილია ნახშირორჟანგის მიწისზედა (20 მ<sup>3</sup>), იზობუტანისა და დიმეთილპროპანის მიწისქვეშა (თითოეული 9 მ<sup>3</sup>) და ეთანოლის მიწისზედა რეზერვუარების (16 მ<sup>3</sup>) განთავსება, რისთვისაც გათვალისწინებულია შემთხვევით დაღვრილი სითხის შემაკავებელი 1 მეტრი სიმაღლისა და 150 მმ სისქის რკინა-ბეტონის შემოზვინვის მოწყობა. ამასთან, დოკუმენტი მოიცავს ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციას, კერძოდ საწარმოს აღწერის ნაწილში აღნიშნულია, რომ საწარმოო პროცესში გამოყენებული იქნება ეთანოლი და აღნიშნული მიზნით საწარმოს ტერიტორიაზე განთავსდება 16 მ<sup>3</sup> მოცულობის რეზერვუარი, ხოლო ატმოსფერული ჰაერის გაბნევის ანგარიშში გაფრქვევის წყაროდ მითითებულია მეთანოლის რეზერვუარი. ობიექტზე აგრეთვე მოეწყობა მეხამრიდები, ავარიული ამომრთველები, ხანძარსაწინააღმდეგო წყლის ორი რეზერვუარი და სახანძრო სისტემა. საწარმოში წლის განმავლობაში გათვალისწინებულია 2 600 ტონა პლასტიკური მასალის დამზადება, ხოლო რაც შეეხება საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში გათვალისწინებული ნარჩენების აღდგენის ხაზს, დოკუმენტში წარმოდგენილია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია, კერძოდ დაგეგმილი საქმიანობის აღწერის თავში აღნიშნულია, რომ საწარმოში გათვალისწინებულია 604.8 ტონა ნარჩენის აღდგენა, ხოლო დანართი N4-ის თანახმად საწარმოში წლის განმავლობაში აღდგენილი იქნება 520 ტონა, ხოლო რიგ შემთხვევაში 570 ტონა ნარჩენი. საწარმო იმუშავებს წელიწადში 252 დღე, დღე-ღამეში 24

საათი. ინფრასტრუქტურული ერთეულების მოწყობის პროცესი გაგრძელდება 2 თვის განმავლობაში.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, პლასტიკური მასალის (პოლისტიროლის ფილების) საწარმოო პროცესი შემდეგია: ავზებიდან ნედლეულის ვაკუუმ ტუმბოების მეშვეობით გადაიტანება დოზატორებში, ხოლო დოზირებული ნედლეული გადავა ექსტრუდერის ბუნკერებში, საიდანაც მიეწოდება ორშენკიან ექსტრუდერს, აღნიშნულ ეტაპზე მოხდება პოლისტიროლის გრანულების და ნახშირორჟანგის, იზობუტანის, დიმეთილპროპანისა და ეთანოლის განსაზღვრული რაოდენობების შერევა, რის შემდგომაც მიღებული მასა ფილტრის გავლით გადავა ერთშენკიან ექსტრუდერში, აღნიშნულ ეტაპზე, ჰომოგენიზაციის შემდეგ მიღებული მასა გადავა კალიბრატორში, საიდანაც გორგოლაჭებიანი ტრანსპორტიორის მეშვეობით გადაადგილდება მექანიკური დამუშავების უბანზე. აღნიშნულ ეტაპზე განხორციელდება მიღებული პროდუქციის ზედაპირებისა და გვერდების დამუშავება ფრეზატორის მეშვეობით, აგრეთვე სიგრძეზე დაჭრა და ნაჭდევების გაკეთება. დამუშავებული პროდუქტი მიეწოდება შესაფუთ დანადგარს, ხოლო შემდგომ მზა პროდუქციის საწყობს. აღნიშნულ ტექნოლოგიურ პროცესში წარმოქმნილი ნარჩენები, გამწოვი ვენტილატორების საშუალებით მიეწოდება ნარჩენი პოლისტიროლის შემგროვებელ ბუნკერს, ხოლო შემდგომ ექსტრუდერს სადაც ხდება გაცხელება, გადნობა და ნედლეულის მიწოდება გრანულატორში, რაც შეეხება წუნდებულ პროდუქციას, პლასტიკური მასალის დამამზადებელი ტექნოლოგიური ხაზიდან გამომდინარე მიზნით გადაიტანება საწარმოს ეზოში საპროექტო გადახურულ ტერიტორიაზე (GPS კოორდინატები: X-483004, Y-4625728), სადაც დაყოვნდება 24-36 საათის განმავლობაში და მიეწოდება შრედერს, საიდანაც დაქუცმაცებული მასალა მიეწოდება ნარჩენი პოლისტიროლის შემგროვებელ ბუნკერს, ხოლო შემდგომ ექსტრუდერს და გრანულატორს. მიღებული პროდუქტი - პოლისტიროლი გრანულები, მიეწოდება პოლისტიროლის ფილების წარმოების ტექნოლოგიური ხაზს.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ვინაიდან დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოები იქნება მცირე მასშტაბის და გაგრძელდება 2 თვის განმავლობაში საწარმოს მშენებლობის ეტაპი დაკავშირებული არ იქნება ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან. რაც შეეხება საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპს, საწარმოო ტექნოლოგიური ციკლის გათვალისწინებით, დოკუმენტის მიხედვით ადგილი ექნება მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და მათ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევას. საწარმოს ფუნქციონირებისას ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებებს წარმოადგენს: პოლიმერული მტვერი, მეთანოლი, დიმეთილპროპანი, მეთილპროპანი, სტიროლი და ნახშირორჟანგი. უახლოეს მოსახლემდე დაშორების მანძილის (95 მ), დაგეგმილი საქმიანობის წარმადობის (2 600 ტონა პლასტიკური მასალის დამზადება) და მათ შორის იმის გათვალისწინებით, რომ ვერ დგინდება ნარჩენების აღდგენის ტექნოლოგიური ხაზის წარმადობა ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედება, მათ შორის ფილტრების ეფექტურობა საჭიროებს დამატებით შესწავლას და შეფასებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობა მოიცავს საპროექტო ინფრასტრუქტურული ობიექტების სამონტაჟო სამუშაოებს, რომელიც

იწარმოებს დღის საათებში და გაგრძელდება 2 თვის განმავლობაში, შესაბამისად საწარმოს მოწყობის ეტაპზე ხმაურის გავრცელებით მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. რაც შეეხება საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპს, ხმაურისა და ვიბრაციის წარმოქმნის ძირითად წყაროებს წარმოადგენს ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული დანადგარ-მექანიზმები, კერძოდ პლასტიკური მასალის საწარმოო და ნარჩენი პოლისტიროლის აღდგენის ტექნოლოგიური ხაზები. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული დანადგარ-მექანიზმები განთავსებული იქნება დახურულ შენობაში, უახლოეს მრავალბინიან საცხოვრებელ სახლთან მოსალოდნელი ხმაურის დონე შეადგენს 26 დბა-ს, რაც არ გადააჭარბებს კანონით დადგენილ ნორმებს.

საწარმოო ობიექტზე წყლის გამოყენება გათვალისწინებულია სამეურნეო-საყოფაცხოვრებო, საწარმოო და სახანძრო მიზნებისთვის. საწარმოს წყალმომარაგება მოხდება ქალაქის წყალმომარაგების ქსელიდან. საწარმოო მიზნებისათვის წყლის გამოყენება გათვალისწინებულია პოლისტიროლის წარმოების ტექნოლოგიური ხაზის გაგრილების (ბრუნვით) სისტემაში. გაგრილების სისტემა წარმოადგენს ჩაკეტილ ციკლს სადაც ხორციელდება წყლის მუდმივი ცირკულაცია. საწარმოო მიზნებისათვის წყალი აგრეთვე გამოყენებული იქნება ნარჩენი პოლისტიროლის აღდგენის ტექნოლოგიურ ხაზზე, წარმოებული პროდუქციის მექანიკურ დამუშავებამდე მისი გაგრილების მიზნით შესაბამის ავზში. დოკუმენტის თანახმად, ნარჩენების აღდგენის ტექნოლოგიურ პროცესში, გამაგრილებელ ავზში დაგროვილ წყალი, ჩაშვებული იქნება ქალაქის საკანალიზაციო ქსელში ან გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას. საწარმოში ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები ჩაშვებული იქნება ქალაქის საკანალიზაციო სისტემაში. საპროექტო ტერიტორიაზე მოწყობილია სანიაღვრე ქსელი, რომელიც დაკავშირებულია ქალაქის სანიაღვრე სისტემასთან. ვინაიდან საწარმოო პროცესი განხორციელდება დახურულ შენობაში სანიაღვრე წყლების დაბინძურება მოსალოდნელი არ არის, ამასთან, საწარმოს გარე სივრცეში გათვალისწინებული ობიექტები განთავსდება შესაბამისი გადახურვის ქვეშ.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია საყოფაცხოვრებო და სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. ობიექტზე წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენები შეგროვდება შესაბამის კონტეინერებში და გატანილი იქნება მუნიციპალური სამსახურის მიერ, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენები (ფილტრები და ნარჩენი ზეთები) დროებით განთავსდება ტერიტორიაზე არსებულ კონტეინერებში და შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას. როგორც უკვე აღინიშნა, ნარჩენების აღდგენის ტექნოლოგიურ პროცესში, გამაგრილებელ ავზში დაგროვილ წყალს, ჩაუტარდება შესაბამისი ლაბორატორიული ანალიზი - საწარმოო წყლის არასახიფათოდ იდენტიფიცირების შემთხვევაში მისი ჩაშვება განხორციელდება ქალაქის საკანალიზაციო ქსელში, ხოლო სახიფათოდ იდენტიფიცირების შემთხვევაში გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას. დოკუმენტში წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია გადამუშავების მიზნით მისაღები ნარჩენების (კოდები, დასახელებები და რაოდენობა) შესახებ, ასევე, საქმიანობის განხორციელების დროს მოსალოდნელი ნარჩენების (კოდები, დასახელებები, რაოდენობა

და შემდგომი მართვის ღონისძიებები) შესახებ ინფორმაცია, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს N426 „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ დადგენილების შესაბამისად. დოკუმენტში არ არის მითითებული დაგეგმილ საქმიანობასთან შესაბამისი აღდგენის ოპერაციის კოდი „ნარჩენების მართვის კოდექსის“ დანართი I - ის შესაბამისად.

როგორც უკვე აღინიშნა საპროექტო ტერიტორიის მომიჯნავედ განთავსებულია შპს „ნამის“ და შპს „ჯოჯ“-ს, საწარმოს საკადასტრო საზღვრიდან 10 მეტრის მანძილზე შპს „თორნიკესა“ და შპს „ელმა 2008“-ს, 75 მეტრის მანძილზე შპს „რედისა“ და შპს „ტოპ მოტორსის“, 95 მეტრში შპს „ავანგარდის“, 160 მეტრში შპს „ალთენის“, ხოლო 180 მეტრის მანძილზე შპს „ჯი ეს სი“-ს კუთვნილი ობიექტები, თუმცა აღნიშნული ობიექტების ფუნქციური დანიშნულების შესახებ დოკუმენტში ინფორმაცია წარმოდგენილი არ არის, აგრეთვე საწარმოს საკადასტრო საზღვრიდან 200 და 350 მეტრის მანძილზე მდებარეობს შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ კუთვნილი ნავთობბაზები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამატებით შესწავლას და შეფასებას საჭიროებს არსებულ ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების საკითხი.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო საწარმო არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. პლასტიკური მასალის წარმოება და ნარჩენების აღდგენა განხორციელდება ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ გარემოში არსებულ კაპიტალურ შენობაში. საწარმოო ტერიტორია დაფარულია ბეტონის საფარით, შესაბამისად ნიადაგის ნაყოფიერი ფენა ან/და ბუნებრივი გრუნტი წარმოდგენილი არ არის.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაგზავნილ იქნა ნამალადევის რაიონის გამგეობის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის, ადგილმდებარეობისა და შესაძლო კუმულაციური ზემოქმედების გათვალისწინებით, საწარმოს ექსპლუატაცია დაკავშირებული იქნება გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან, რაც საჭიროებს დამატებით შესწავლას და შეფასებას. ამასთან, დოკუმენტში დასაზუსტებელია დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული რიგი საკითხები.

**ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის მე-6 პუნქტის 6.2 ქვეპუნქტისა და მე-10 პუნქტის 10.3 ქვეპუნქტის საფუძველზე,**

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქ. თბილისში, დავით გურამიშვილის გამზირ N 188-ში, პლასტიკური მასალისა და ნარჩენების აღდგენის საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ნოვა ფიქსი“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის შესაბამისად, უზრუნველყოს სკოპინგის პროცედურის გავლა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ნოვა ფიქსი“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ნოვა ფიქსის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და ნამალადევის რაიონის გამგეობის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

